ახალი ხარაგაული

368 (27) 25 დეკემბერი, 2017 წ

ძვირფასო ხარაგაულელებო!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მშვიდობას ქვეყანაში და ბარაქას ოჯახებში. სიხარულმა და სიყვარულმა დაისადგუროს თქვენს გულებში. გიწინამძღვროთ ღვთისმშობელმა!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე

ჩემო თანამემამულენო!

გილოცავთ ახალი, 2018 წლის შემობრძანებას. დაე, სიყვარულმა გაამყაროს თქვენი სახლის ფუძე-საძირკველი. მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, ყველა კეთილი ჩანაფიქრის ასრულება. დაე, უფლის მადლმა და მფარველობამ გააძლიეროს თქვენი კერა!

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

„ფარცხნალის მიწის სურნელი თქვენით მზემ, მთავრემ შეიგრძნო...“

ყოველთვის, როცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ამ ლამაზ სოფელზე ვფიქრობ აღნიშნული სტრიქონები მაგონდება, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის დიდი მეცნიერის ევგენი ხარაძის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში დაიწერა. წელს, 2017 წლის 31 ოქტომბერს, დიდ სწავლულსა და მამულიშვილს 110 წელი შეუსრულდა. რესპუბლიკის მასშტაბით მის ხსოვნას უამრავი ღონისძიება მიეძღვნა. ჩვენი საამაყო თანამემამულის დიდი სიცოცხლე გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ ცის კაბადონზე „ვარსკვლავ-ხარაძე“ ბრწყინავს. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ის დიდი ზრუნვა, რასაც სოფელ ფარცხნალისადმი იჩენს ადგილობრივი ხელისუფლება. სოფლისათვის ხომ ყველაზე დიდი სიკეთე კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურაა.

დიდი მეცნიერის საიუბილეო თარიღს დაემთხვა ხარაძეების უბნის მცხოვრებთა დიდი სიხარული-სწორედ ევგენი ხარაძის ძირძველ კერამდე დაიგო გზაზე ბეტონის საფარი, რომელიც საზეიმო ვითარებაში 12 დეკემბერს გაიხსნა.

***

დიდი მეცნიერის ოდა-სახლი ღირსეულ სტუმრებს მასპინძლობდა: იმერეთის რწმუნებული- გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, ვიცე-გუბერნატორი გრიგოლ დალაქიშვილი, ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე მეუღლით, მერის მოადგილე არჩილ მაღრაძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები, სოფლის მკვიდრები...

სტუმრებს ესალმება ფარცხნალზე უსაზღვროდ შეყვარებული, წიგნის „ფარცხნალი- კორიფეთა სამკვიდროს“ ავტორი, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის

სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორი ქალბატონი იზა ვეფხვაძე. იგი საუბრობს იმ დიდ წვლილზე, რაც ამ მადლიან მიწაზე აღზრდილმა შვილებმა შეიტანეს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. უფრო მეტიც, სწორედ ფარცხნალელმა სწავლულებმა დაუდეს სათავე არაერთ მეცნიერებას. საუბრობს ამ კედლებში აღზრდილ დიდ ასტრონომზე, რომელსაც მიუძღვნა საავტორო სპექტაკლი „უცებ მოწყდება ცაზე ვარსკვლავი“, მის სახელოვან ძმაზე- ცნობილ მათემატიკოს არჩილ ხარაძეზე და შემდეგ მოკლედ, ძალიან საინტერესოდ მიმოიხილავს სწავლულთა და ხელოვანთა იმ გზას, რომელთა ღვაწლიც უკავშირდება ქალბატონ იზა ვეფხვაძის მიერ წლების წინ ჩაფიქრებულ სანუკვარ იდეას, რომ ფარცხნალი იქცეს სოფელ -მუზეუმად...

დამსწრეთა სიხარული გაორმაგდა ცნობილი მსახიობის, კომპოზიტორისა და მომღერლის, ბატონ ნიკოლოზ თოფურიძის მეუღლის, ქალბატონ ეკა კახიანის სტუმრობით. მან ყურადღებით დაათვალიერა ევგენი და არჩილ ხარაძეების ოდა-სახლში არსებული მემორიალური ნივთები და აღნიშნა: „ამ წუთებში ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ვიმყოფები დიდ სწავლულთა აღმზრდელ კერაზე. გამორჩეულია ამ სოფლის ბუნებრივი სილამაზე, გამორჩეული არიან მისი აღზრდილი შვილები, რომელთაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერებასა და ხელოვნებაში“.

ნიკოლოზ თოფურიძე, ხარაგაულის მერი: „მახარებს, რომ სწორედ ჩემი მერობის პერიოდში მოხდა ფარცხნალის გზის რეაბილიტაცია. ეს სოფელი იმსახურებს ყოველგვარ სიკეთეს და ადგილობრივი ხელისუფლება ყველა ქმედითი საშუალებით იბრძოლებს სოფლისა და მის მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის.“

გივი ჭიჭინაძე, იმერეთის გუბერნატორი: „კიდევ ერთხელ დაგვისურათა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ ამ სოფლისა და მის საამაყო შვილთა ღვაწლი. საინტერესოა იდეა, რომ ფარცხნალი გახდეს სოფელი-მუზეუმი. გამოვხატავთ სრულ მზაობას ამ იდეის ხორცშესხმისათვის.“

დიახ, რადგან „ფარცხნალის მიწის სურნელი უკვე შეიგრძნო მზემ და მთვარემ“, გვწამს, ამ სურნელის ძალა კიდევ უფრო გაძლიერდება, გაძლიერდება მაშინ, როცა ფარცხნალისაკენ მიმავალ მგზავრს ჰკითხავ:

-საით მიბრძანდებით?

-სოფელ -მუზეუმ ფარცხნალისაკენ, ჩემო ბატონო!

მერი გიორგიძე

იმერეთის გუბერნატორმა ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განახორციელა

იმერეთის მხარის რწმუნებულმა-გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ და ვიცე-გუბერნატორმა გრიგოლ დალაქიშვილმა ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განახორციელა.

გზების მშენებლობის პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, პირველი მოადგილე არჩილ

მაღრაძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, მოადგილე რუსუდან გიორგაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

პირველ ეტაპზე სტუმრებმა ლახუნდარისა და კიცხის (მდინარაძეების უბანი) ცენტრალური გზის სამშენებლო სამუშაოები მოინახულეს.

ლახუნდარაში ამჟამად დასასრულს უახლოვდება ეკლესიასთან მისასვლელი გზის(1690 მეტრი) რეაბილიტაცია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წელს მოხდა სოფლის ცენტრალური გზის (2200 მეტრი) კაპიტალური შეკეთება. საერთო ჯამში ლახუნდარაში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის 551 545 ლარი დაიხარჯება.

რაც შეეხება მდინარაძეების უბანს, სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და გზის 2 500 მეტრიანი მონაკვეთის მობეტონება იგეგმება. პროექტზე 356 188 ლარია გათვალისწინებული.

ვიზიტის ფარგლებში მხარისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ასევე დაათვალიერეს საქარიქედისა და ფარცხნალის (აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახლამდე მისასვლელი) ახლად მობეტონებული გზები.

საქარიქედში 2 200 მეტრზე ცენტრალურ გზას ჩაუტარდა რეაბილიტაცია და პროექტის განსახორციელებლად 178 800 ლარი დაიხარჯა. ფარცხნალში აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახლამდე მისასვლელი გზის 1 000 მეტრი მობეტონდა, რომლის ღირებულებაც 176 124 ლარს შეადგენს.

ზემოაღნიშნული პროექტები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა კი თანხის 5%-ს შეადგენს.

იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ შესრულებული სამუშაოების ხარისხი დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ხარაგაულის ისეთ სოფლებში, სადაც გზა არასდროს ყოფილა, თანამედროვე სტანდარტების გზები გაკეთდა. გუბერნატორის განცხადებით, ეს ტემპი მომავალშიც გაგრძელდება, რადგან მონესრიგებული ინფრასტრუქტურა ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ყურადღება შიდა სასოფლო გზების მოწესრიგების აუცილებლობაზე გაამახვილა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

„მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება დასასრულს მიუახლოვდა და ყოველივე დადგენილ ვადებში და ხარისხიანად სრულდება. რაც მთავარია, ეს ყველაფერი შედეგზე უნდა აისახოს და მოსახლეობა დარჩეს კმაყოფილი. აქვე გეტყვით, რომ მომავალ წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად ხარაგაულში საკმაოდ სოლიდური თანხები დაიხარჯება და პირველ ეტაპზე პრიორიტეტი ისეთ სოფლებს მიენიჭება, სადაც კომპაქტური დასახლებებია. ვფიქრობ, 3-4 წელიწადში მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში რეაბილიტირებული გზა იქნება.“ - განაცხადა ნიკოლოზ თოფურიძემ.

აღსანიშნავია, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მიმდინარე წელს, ამ კუთხით, დაახლოებით 6 მილიონ - ნახევარი ლარი დაიხარჯა და საერთო ჯამში გზის კაპიტალური შეკეთება 26 სოფელში მოხდა.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან თათბირი გამართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან თათბირი გამართა და ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით სოფლებში გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა განიხილა. თოფურიძემ ამინდის გაუარესების შემთხვევაში მისაღებ ზომებზე დეტალურად ისაუბრა და წარმომადგენლებს, საგანგებო შემთხვევებში, 24 საათიან რეჟიმში მზადყოფნის აუცილებლობისკენ მოუწოდა.

„მოსახლეობასთან მუდმივი კონტაქტი გქონდეთ. წინასწარ დაიჭირეთ თადარიგი, რათა უხვი ნალექის შემთხვევაში ტრანსპორტის გადაადგილების პრობლემები არ შეგვექმნას," - მიმართა მუნიციპალიტეტის მერმა წარმომადგენლებს. ნიკოლოზ თოფურიძის განცხადებით, ხარაგაულის მერია ზამთრის სეზონს სრულ მზადყოფნაში ხვდება და, დიდთოვლიანობის შემთხვევაში, გზები ინტენსიურად გაიწმინდება.

თათბირზე სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილეს. ხარაგაულის მერმა სოფლებში არსებული პრობლემებიც მოისმინა და შესაბამის სამსახურებთან მათი მოგვარების გზებზე იმსჯელა.

ნიკოლოზ თოფურიძემ წარმომადგენლებს მოუწოდა, ყურადღებით მოეკიდონ ყველა მოთხოვნას, რაც მოსახლეობიდან წამოვა და კომპეტენციის ფარგლებში მათ დახმარება გაუწიონ.

საკრებულოს თავმჯდომარემ მანანა ბარბაქაძემ წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 1200 ლარი ბალების გაერთიანებას გადასცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, 2017 წლის წარმომადგენლობითი ხარჯიდან 1200 ლარი ბაღების გაერთიანებას გადასცა. როგორც ბაღების გაერთიანების დირექტორმა მამუკა ჭიპაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, აღნიშნული თანხით ოთხ საბავშვო ბაღში მოხდა ნაძვის ხისა და სათამაშოების შეძენა, ასევე 17-ვე სკოლამდელი დაწესებულებისათვის შეძენილ იქნა სასკოლო მზაობის წიგნები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 12 სკვერის რეაბილიტაცია იგეგმება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დაბაში არსებული თორმეტი სკვერის რეაბილიტაცია იგეგმება. აღნიშნული პროექტის შესყიდვაზე ტენდერი დასრულდა და გამარჯვებული ი/მ ზვიად გოგოლაძე გახდა. მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინფორმაციით, ამ ეტაპზე მოლაპარაკებები რეგიონული განვითარების ფონდთან მიმდინარეობს და სარეაბილიტაციო სამუშაოები 2018 წლიდან დაიწყება. მისივე თქმით, სკვერებში როგორც ინვენტარი, ასევე ბავშვების გასართობი ატრაქციონები დაიდგმება.

სკვერების ჩამონათვალი, რომელთა რეაბილიტაციაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2018 წელს იგეგმება: ჩოხოსნების სკვერი; თამაზ კიკნაძის სახელობის სკვერი; მერიის წინ, 9 აპრილის ქ. N15-ში მდებარე სკვერი; ვეფხვია ღონღაძის სახელობის სკვერი; დაბაში, ცენტრალური პარკის წინ მდებარე სკვერი (მემორიალთან); დაბაში 9 აპრილის სახელობის სკვერი (ხარაგაულის სახანძრო-სამაშველო სამსახურთან); დაბაში პოლიციის წინ მდებარე სკვერი; ე.წ. „დევების სკვერი"; ევგენი ხარაძის სახელობის სკვერი; ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე მდებარე სკვერი; პატარა ხარაგაულში მდებარე სკვერი; დაბაში სპორტსკოლის მიმდებარედ არსებული სკვერი.

იმერეთის მასშტაბით 12 საუკეთესო სპორტსმენს შორის ერთ-ერთი ხარაგაულელი ზაურ ბერაძეა

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციამ 2017 წელს ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობებიდან იმერეთის მუნიციპალიტეტების მასშტაბით წარმატებული სპორტსმენები დააჯილდოვა. საუკეთესო სპორტსმენებს შორის დასახელდა ხარაგაულელი ზაურ ბერაძე. ღონისძიებას, რომელსაც ქუთაისის ART გალერეამ უმასპინძლა, თავად ზაურ ბერაძე მიღებული ტრავმის გამო ვერ დაესწრო. იმერეთის მხარის რწმუნებულმა-გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ სიმბოლური საჩუქარი და სიგელი სპორტსმენის დედას, ნონა ზურაბიანს გადასცა.

აღსანიშნავია, რომ ზაურს არაერთი გამარჯვება და პირველი ადგილი აქვს მოპოვებული, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთ.

საკრებულოში დამატებით ორი ფრაქცია შეიქმნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამატებით ორი ფრაქცია შეიქმნა. ამის შესახებ დეპუტატებმა 19 დეკემბერს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე იმსჯელეს. იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, ოთარ ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, კომისიაში შესულია განცხადება ფრაქციების „ქართული ოცნება - მრეწველების" და „ქართული ოცნება - კონსერვატორების" შექმნის შესახებ. ლურსმანაშვილის განმარტებით, კომისიამ ფრაქციების შექმნა მიზანშეწონილად მიიჩნია. მისივე ინფორმაციით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30 -ე და საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლებს.

„ქართული ოცნება - მრეწველების" თავმჯდომარე იუზა კელენჯერიძე იქნება. წევრები: გივი ხიჯაკაძე და ბესიკ ტალახაძე. რაც შეეხება ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორებს" მას გივი თავზარაშვილი უხელმძღვანელებს, წევრები კი აკაკი ლურსმანაშვილი და ზურაბ ხაჩიძე იქნებიან.

აღნიშნული საკითხი საკრებულომ ცნობად მიიღო.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, რუსუდან გიორგაძის, ინიციატივით სარგვეშში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა

სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა. აქცია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისა და ამავდროულად სარგვეშის თემის მაჟორიტარი დეპუტატის, რუსუდან გიორგაძის, ინიციატივით მოეწყო და სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პაციენტებს უფასოდ მოემსახურნენ „მედ ალფას" მეან გინეკოლოგები ქეთევან გიორგაძე და ირინა გოგიშვილი, რომლებსაც სტაციონარული და ამბულატორიული მუშაობის 25 -წლიანი გამოცდილება აქვთ. ჩატარდა პროფილაქტიკური და ბაქტერიოლოგიური კვლევა და რამდენიმე ადამიანი გაიგზავნა კოლპოსკოპიურ კვლევაზე.

აქციაში 200-მდე ქალბატონი ჩაერთო და მათი მობილიზება და ტრანსპორტირება სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულიდან მაჟორიტარმა დეპუტატებმა უზრუნველყვეს.

როგორც ჩვენთან საუბარში „მედ ალფას" გინეკოლოგმა ირინა გოგიშვილმა, აღნიშნა, რამდენიმე პაციენტს ჯანმრთელობისთვის შეუსაბამო სიმპტომები აღმოაჩნდა და შესაბამისი მკურნალობა დაენიშნათ. მისივე ინფორმაციით, ერთი ქალბატონი სასწრაფო ოპერაციას საჭიროებს. იგი შესაბამის კლინიკაში გადამისამართდა და წინასაოპერაციო სამზადისს გადის.

რუსუდან გიორგაძემ „მედ ალფას" კოლექტივს მუნიციპალიტეტში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა მისთვის უმთავრესია.

პაციენტები ჩატარებული სამედიცინო აქციით კმაყოფილები არიან და ერთხმად აღნიშნავენ, რომ კარგი იქნება, თუ მსგავსი ტიპის აქტივობა მომავალშიც დაიგეგმება.

წინასაახალწლოდ ხარაგაულის მერიამ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს ფულადი დახმარება გაუწია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, წინასაახალწლოდ 210 უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს ფულადი დახმარება გაეწია, კერძოდ, თითოეულ ოჯახს ანგარიშზე 30-30 ლარი ჩაერიცხათ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა

19 დეკემბერს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი დაამტკიცეს. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შემოსულობების გეგმა 6869,0 ათასი ლარით განისაზღვრა და 2017 წელთან შედარებით 481,9 ათასი ლარით გაიზარდა. შემოსულობების ზრდა გამოწვეულია ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები შემოსულობების, სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების გაზრდით; ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ცენტრალური ბიუჯეტიდან სულ 5 554,0 ათასი ლარი გამოეყო, აქედან ტრანსფერი შეადგენს 4344,0 ათას ლარს და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები 1210,0 ათას ლარს, 2017 წელთან შედარებით ტრანსფერის მოცულობა გაიზარდა 371,9 ათასი ლარით, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გადასახადები შემცირდა 90,0 ათასი ლარით; სხვა შემოსავლების 2018 წლის გეგმა 2017 წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია 130,0 ათასი ლარით და შეადგენს 1245,0 ათას ლარს. არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები 2017 წელს დაგეგმილი არ ყოფილა, 2018 წელს კი დაიგეგმა 70,0 ათასი ლარი.

საკრებულოს სხდომაზე 2018 წლის ბიუჯეტს კენჭი მუხლობრივად ეყარა და სხდომაზე მყოფი 31 დეპუტატიდან ბიუჯეტს მხარი 25-მა დაუჭირა. თორნიკე ავალიშვილმა, ქეთევან ზუმბაძემ, აკაკი მაჭავარიანმა, დავით მაღლაფერიძემ, თემურ ფცქიალაძემ და მიხეილ ჭიპაშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯები 2000 ლარი შეამცირა და სოციალურ პროგრამებში გადაიტანა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ესაა ჯანსაღი გზა ქვეყნის მომავლისაკენ...

მიმდინარე წელს დიდ ქართველს, გამორჩეულ პატრიოტულ საქმეთა თაოსანს, რეზო თაბუკაშვილს, დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა განსაკუთრებული მაგალითის მომცემია მოზარდი თაობის სულის ფორმირებისათვის. შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა (თავმჯდომარე პროფესორი გოგი დოლიძე) საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის გამოაცხადეს თემების კონკურსი, ვინ უკეთ იცნობდა ამ ღირსეული პიროვნების ღვაწლს. კონკურსის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა ქალაქ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, სადაც მონაწილეებმა ზეპირი გამოსვლით გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება და ღრმა ცოდნა ამ დიდი პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

დიდ ქართველთა ღვაწლის მაძიებელ-გამომზეურებელი მამულიშვილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მივლინებისას ყველგან სიამაყით აცხადებდა, რომ ის იყო ღუდუმექეთელი... რასაკვირველია, ბატონი რეზოს ღუდუმექეთლობა განსაკუთრებით დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ხარაგაულის საჯარო სკოლის მოსწავლეებს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პატარა თანამემამულეებმა ღირსეულად გაართვეს თავი ამ მისიას. გვინდა, წარმოგიდგინოთ ისინი, რომლებიც საპატიო დიპლომებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა დასის ხელმძღვანელმა პროფესორმა გოგი დოლიძემ. აი, ისინი:

თამარ ჭიპაშვილი - მეორე საჯარო სკოლა, მეათე კლასი;

მარიამ ჭიპაშვილი - მეორე საჯარო სკოლა, მეთერთმეტე კლასი;

გურამ ლურსმანაშვილი - მესამე საჯარო სკოლა, მერვე კლასი.

ამანდა ხვედელიძე - მესამე საჯარო სკოლა, მეთორმეტე კლასი.

მარიამ ბურჯანაძე - ლეღვნის საჯარო სკოლა, მეთერთმეტე კლასი;

ლიზი თიკანაშვილი -ზვარის საჯარო სკოლა, მეათე კლასი.

თემურ მაღლაკელიძე - ზვარის საჯარო სკოლა, მერვე კლასი;

რუსუდან ლურსმანაშვილი - უბისის საჯარო სკოლა, მერვე კლასი;

ლანა ჩალხაშვილი - კიცხის საჯარო სკოლა, მეთერთმეტე კლასი.

კონკურსს ესწრებოდნენ სპეციალურად მოწვეული მეცნიერებისა და ხელოვნების ცნობილი პიროვნებები, ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები, ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პედაგოგები, დაინტერესებული პირები, რეზო თაბუკაშვილის ვაჟი, ცნობილი დრამატურგი ლაშა თაბუკაშვილი, დიდი რეზოს ნიჭის თაყვანისმცემლები...

ძალზე შთამბეჭდავად დაიწყო ღონისძიება, როცა ბატონმა გოგიმ სცენაზე მიიწვია ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი ქალბატონი იზა ვეფხვაძე. მან ჩვეული ოსტატობით წარმოადგინა ფრაგმენტი ბატონ რეზოსადმი მიძღვნილი საავტორო სპექტაკლიდან „მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები“.

ამ მშვენიერ ღონისძიებას ხიბლს ჰმატებდა გამომსვლელთა შორის ჩართული მუსიკალური ნომრები, საოცარი დეკლამაციით წაკითხული პოეტური მარგალიტები. სიამოვნება განგვაცდევინა კადრმა კინოფილმიდან „საბუდარელი ჭაბუკი“, როცა ეკრანიდან ვიხილეთ საყვარელი მსახიობი, სრულიად ახალგაზრდა იმედა კახიანი...

ღონისძიებაზე ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს რეზო თაბუკაშვილის მსგავსი ქართველების ღვაწლის პოპულარიზაციას მოსწავლე-ახალგაზრდობაში. განსაკუთრებით კი ისეთ ვითარებაში, როცა ტელევიზიები და სხვა საინფორმაციო საშუალებები სრულიად განსხვავებულ ღირებულებებს უწევენ პროპაგანდას.

ბატონმა გოგი დოლიძემ ხაზი გაუსვა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ყოფილი უფროსის, დავით კიკნაძის, დიდ თანადგომას და აქვე აღნიშნა, რომ კონკურსის ყველა მონაწილის გამოსვლა დამონტაჟდება ფილმად და საჩუქრად დაეგზავნება მათ სკოლებს.

მერი გიორგიძე

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში Izrune.ge-ს პრეზენტაციას ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ

16 დეკემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში „ეტალონის“ წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა ინოვაციური საგანმანათლებლო პროექტის, Izrune.ge-ს, პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებას საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე დაესწრნენ.

გოჩა ტყეშელაშვილმა დამსწრე საზოგადოებას Izrune.ge-ს შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და საიტის ინსტრუქციაც გადასცა. მისივე თქმით, საიტის მთავარი მიზანია მშობლის ჩართულობის გაზრდა შვილის აღზრდა-განათლება-წახალისების პროცესში. მოსწავლეებს აქვთ საშუალება, საკუთარი კლასის შესაბამისად, ყოველდღიურად ივარჯიშონ მათთვის სპეციალური ალგორითმით შექმნილ უნიკალურ ტესტებში, გაიმეორონ და გაამყარონ განვლილი მასალა, ხოლო, თავის მხრივ, მშობლებს, და არა მარტო მშობლებს, მთლიანად ოჯახს, საშუალება აქვს თვალყური მიადევნოს ბავშვის განვითარებას და აქტიურად ჩაერთოს მისი აღზრდა-განათლების პროცესში. ყოველი თვის ბოლო კვირა დღე ცხადდება შვილებზე ზრუნვის დღედ. ამ დღეს მშობელი (ოჯახის წევრი) უნდა მიუჯდეს გვერდით თავის შვილს და თვალი მიადევნოს, როგორ შეასრულებს ბავშვი ტესტს. წარმატებით გავლის შემთხვევაში მოსწავლე იღებს სპეციალურ დიპლომს. ოჯახს აქვს საშუალება, მიღებული დიპლომი გააზიაროს სოციალურ ქსელში, შეინახოს ან ამობეჭდოს, გააკრას კედელზე და იამაყოს შვილის მიღწევით.

გოჩა ტყეშელაშვილის თქმით, Etaloni.ge-ში ჩართული სკოლების მოსწავლეები, Izrune.ge-ზე დარეგისტრირებასა და ყოველდღიურად განახლებადი სასკოლო ტესტების გაკეთებას, მხოლოდ ერთ ლარად შეძლებენ.

ეკა შავიძე

აქა ამბავი კომპანია „ბეთლაივისა“ ბექა ჭყოიძისა და კალათბურთის აკადემიის დამფუძნებელ ზაზა ფაჩულიასი ...

უფლისაგან მიმადლებული ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა და კარგი აღზრდის შედეგად ჩანერგილ-გამომუშავებული საუკეთესო თვისებები პიროვნების მიერ ყოველთვის გამოვლინდება ამა თუ იმ ფორმით.

ხარაგაულის მადლიანი მიწა რომ ნიჭიერ ადამიანთა ფუძეა-საძირკველია, არც ესაა შემთხვევითი და უჩვეულო.

„ბედნიერია, ვინც სიჭაბუკეში ჰპოვა თავი თვისი“- შეგვახსენებს ბრძენკაცი. ასეთ ბედნიერთა რიცხვს ეკუთვნის ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის აღზრდილი ბექა ჭყოიძე. იგი ადრეული ასაკიდანვე იყო გამორჩეული წიგნის სიყვარულით, საფუძვლიანი ცოდნის მიღებისაკენ სწრაფვით, კრეატიული აზროვნებით.

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“ - ბრძანებს დიდი რუსთველი. ბექა მფლობელია ისეთი სიმდიდრისა, რომელსაც „ხელი არ შაეკარების, არც ცხადის ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების“.

დღეს უამრავი პროგრამა, ათასგვარი გზაა ნიჭიერების, წიგნიერებისა და, ზოგადად, შეთვისებული ცოდნის გამოსავლენად. მინდა, ხაზი გავუსვა უმთავრესს- არსებობს ერთი რამ, რაც ნამდვილად „არ აიწონების“- ესაა ის პიროვნული ღირსება, რომელიც ყოველგვარ მატერიალურ ანაზღაურებაზე უფრო ღირებულია, უფრო ფასეულია...

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ახალგაზრდა

მწვრთნელი (ვგულისხმობ ბექა ჭყოიძეს), რომელიც პროფესიულ -პედაგოგიური სინდისით არ აძლევს საკუთარ თავს უფლებას, რომ მოზარდთა წვრთნის პროცესში, ლამის ჩვენი სხეულის დანამატად ქცეულ მობილური ტელეფონით ისარგებლოს, არადა მიჯრით სამჯერ ზედიზედ რეკავს ტელეფონი...

მხოლოდ შემდეგ, როცა წვრთნა გაასრულა, ბექამ გამოტოვებული ზარები შეამოწმა...

კომპანია „ბეთლაივიდან“ აუწყეს, რომ მისგან ზარებზე პასუხის შემთხვევაში, ის კომპანიის მიერ გათამაშებული ულამაზესი მანქანის „ჰიუნდაი აქცენტის“ მფლობელი გახდებოდა...

თქვენთვის მომინდია, ძვირფასო მკითხველო, რა ემოციები შეიპყრობდა ამ კარგ ჭაბუკს... ერთგვარი განტვირთვა იგრძნო, როცა სოციალურ ქსელში განათავსა თავისი „უიღბლობით“ გამოწვეული განცდები...

და ამოძრავდა სიკეთისა და იმედის „დიდი მანქანა“. ამ მანქანის „მესაჭეები“ არიან ისინი, რომელთაც სრულად აქვთ გათავისებული ადამიანთა ღირსების საზომად სინდისი, პროფესიონალიზმი, მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა...

შედეგიც სახეზეა: კომპანია „ბეთლაივი“ ბექა ჭყოიძეს ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად 1000 ლარით აჯილდოებს, ამავე რაოდენობის თანხას მიიღებს ბექა კალათბურთის აკადემიის დამფუძნებელ ზაზა ფაჩულიასგან...

სიკეთე გადამდებია, უსასრულოა, უკიდეგანოა საზღვარი მისი...

არ ძალმიძს, არ შევუერთდე ბექას მშობლებისა და ყველა მეგობარ-ახლობლის ამ ფაქტით გამოწვეულ სიხარულს, ჩემი ინსტიტუტელი მეგობრის, ზურაბ ფცქიალაძისა, და მისი მეუღლის, ქალბატონ ცისანა რობაქიძის გულებში ვერდატეულ სიხარულს. მინდა, ვუსურვო მათ ნიჭიერი შვილიშვილებისაგან სიბერის დღეთა კიდევ უფრო გალამაზება, მათი წარმატებებით კვლავ უამრავ სიხარულთან ზიარება...

მერი გიორგიძე

საქართველოს მთავრობამ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას ღამატებით 200 000 ლარი გამოუყო

ხარაგაულის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ: საკრებულოს დეპუტატთა უფლებამოსილების განხორციელებისათვის დამატებით 13,4 ათასი ლარი გამოეყო; მუნიციპალიტეტის მერიას დეკემბრის თვის ხელფასების გასაცემად -80,0 ათასი ლარი. სამხედრო სამსახურს შრომის ანაზღაურებისა და კომუნალური ხარჯების დასაფარად - 6 ათასი ლარი. დამატებით თანხები მიიღეს ასევე მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებმა. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ - 50,0 ათასი ლარი; „ხარაგაულკეთილმოწყობა“- (გარე განათებისათვის) – 2,5 ათასი ლარი;ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“ - 44,2 ათასი ლარი;ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის ცენტრი“ - 2,0 ათასი ლარი;ა(ა)იპ „ შიგა ტურიზმის ცენტრი“ - 2,5 ათასი ლარი ;

ა(ა)იპ „ ხალხური შემოქმედების სახლი“ - 1,0 ათასი ლარი;ა(ა)იპ „კულტურის ცენტრი“ - 7,6 ათასი ლარი;ა(ა)იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკა“ - 9,0 ათასი ლარი;ა(ა)იპ „ისტორიული მუზეუმი“ - 4,0 ათასი ლარი; ა(ა)იპ „სათნოების სახლი“ - 3,0 ათასი ლარი.

გარდა ამისა, სპეციალური ტექნიკის - მანქანა-კალათის შესაძენად გათვალისწინებულია 34,0 ათასი ლარი და საახალწლო ღონისძიებებისათვის 3,0 ათასი. გაიზარდა ასევე სოციალური პროგრამების დაფინანსება 7,2 ათასი ლარით.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის განმარტებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას საქართველოს მთავრობამ დამატებით 200,0 ათასი ლარი გამოუყო, რომელიც ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების დასაფარავად მიიმართება. 66,4 ათასი ლარი კი გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტის სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის ფონდებიდან.

წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 13 850, 5 ათასი ლარით განისაზღვრა.

ეკა შავიძე

„ეტალონის“ საშემოდგომო სეზონის შუალედურ კონკურსზე ხარაგაულელმა ლიზა ბარბაქაძემ მე-4 ადგილი დაიკავა

16 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2017-2018 სასწავლო წლის „ეტალონის“ საშემოდგომო სეზონის შუალედური კონკურსი გაიმართა.

ინტელექტუალური კონკურსის საუკეთესო ათეულში ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ლიზა ბარბაქაძე მოხვდა, რომელმაც 85 ქულა მოიპოვა და რეიტინგის მიხედვით მეოთხე ადგილი დაიკავა.

პირველ ადგილზე ქუთაისის N31 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე დემეტრე ჯავახაძე გავიდა. მეორე ადგილს ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე თამარ სიხარულიძე დაეუფლა, ხოლო მესამე ადგილი ყვარლის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მე-9 კლასის მოსწავლე ანა გუშკაშვილმა დაიმსახურა. შუალედურ კონკურსში 24 მუნიციპალიტეტის „ეტალონი მოსწავლე“ მონაწილეობდა, რომლებიც ასევე ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებენ მონაწილეობას.

,,ეტალონის“ შუალედურ კონკურსს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე დაესწრნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ლიზა ბარბაქაძეს გამარჯვება პირადად მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

ეკა შავიძე

ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარედ დაბის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე თამარ ჭიპაშვილი აირჩა

21 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საკრებულოს ახალი შემადგენლობა დაკომპლექტდა. ფარული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით, საკრებულოს თავმჯდომარედ დაბის N2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე თამარ ჭიპაშვილი აირჩა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ლიზა ბარბაქაძემ დაიკავა. იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას ნათია ბურჯანაძე უხელმძღვანელებს; განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას - საბა ებანოიძე; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას - მეგი იჩქიტიძე;

ახალგაზრდული საკრებულოს არჩევას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანანა

ბარბაქაძე და დეპუტატები: დავით კიკნაძე და ოთარ ლურსმანაშვილი ესწრებოდნენ.

მანანა ბარბაქაძემ ახალგაზრდებს საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები გააცნო და დასძინა, რომ პროექტის ერთ- ერთი ძირითადი მიზანი ლიდერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათთვის თვითრეალიზებაში ხელის შეწყობაა. საკრებულოს თავმჯდომარემ ახლად არჩეულ წევრებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მეტი ჩართულობისკენ მოუწოდა.

ახალგაზრდული საკრებულო 22 წევრით დაკომპლექტდა და მასში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების X და XI კლასების მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები გაწევრიანდნენ.

აღსანიშნავია, რომ უკვე რამდენიმე წელია, არასამთავრობო ორგანიზაციის - „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“- ინიციატივით ხარაგაულში ახალგაზრდული საკრებულო ფუნქციონირებს და იგი წელიწადში ერთხელ ირჩევა.

ეკა შავიძე

ხარაგაულელმა თექვსმეტმა მოსწავლემ ბაკურიანში უფასოდ დაისვენა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ 11-17 დეკემბერს საჯარო სკოლების მეშვიდე - მეცხრე კლასის მოსწავლეებმა ბაკურიანის სამთო - სათხილამურო ბანაკში დაისვენეს. ახალგაზრდების ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯები მთლიანად განათლების სამინისტრომ უზრუნველყო. ზამთრის ბანაკში ხარაგაულიდან 16 მოსწავლე ჩაერთო. ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, თინათინ ბოჭორიშვილის, განმარტებით, მოსწავლეებმა ბაკურიანში სხვადასხვა შემეცნებით და სპორტულ აქტივობაში მიიღეს მონაწილეობა. იმაზე, თუ რა პრინციპით შეარჩია სკოლამ მოსწავლეები, ბოჭორიშვილი აცხადებს, რომ მსგავს აქტივობებში მონაწილეობისათვის უპირატესობა აქტიურ და დამოუკიდებელ ბავშვებს ენიჭება.

შეგახსენებთ, რომ პროექტი საქართველოს 3 რეგიონში მცირეკონტინგენტიან სკოლებში განხორციელდა და იმერეთის მუნიციპალიტეტიდან საერთო ჯამში 150 მოსწავლე ჩაერთო.

თამარ მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობაზე გამარტივებული კონკურსი გამოცხადდა. კონკურსში მონაწილეთა მსურველებს მოეთხოვება უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება არანაკლებ ერთი წლისა, საოფისე კომპიუტერული პროგრამების Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Internet Explorer -ის ცოდნა; აღნიშნულ თანამდებობაზე შრომის ანაზღაურება 900 ლარია. დაინტერესებულ პირებს განცხადების შევსება www.hr.gov.ge 29 დეკემბრამდე შეეძლებათ.

კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება. საბუთების შერჩევა და გასაუბრება.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მის: 9 აპრილის ქუჩა N 15. ტელ: 22- 15 -29;

განცხადება

„ახალი ხარაგაულის“ 367 (26) ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „აქცია- „ჩემი შესაწირი ტაძრის მშენებლობას“ - გრძელდება“, გაიპარა ხარვეზი. უნდა ეწეროს საიდუმლო შემოწირულობა სამშენებლო მასალების - 2300 ლარი და მეორე საიდუმლო შემოწირულობა ასევე სამშენებლო მასალებისათვის - 800 $.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ გამართულ კამპანიას ხარაგაულიც შეუერთდა

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან კამპანიას, რომელიც მთელ მსოფლიოში 1991 წლიდან აღინიშნება, ხარაგაულიც შეუერთდა. კამპანია მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერებას.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში ხარაგაულის კინოთეატრის წინ, მერის თანაშემწის ინგა ბერაძის ინიციატივით, აქცია მოეწყო, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული გენდერული საბჭოს წევრები (თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე), საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე, ა(ა)იპ-ების წარმომადგენლები, დაბის სკოლების პედაგოგ - მოსწავლეები და სხვა დაინტერესებული პირები შეუერთდნენ.

ინგა ბერაძის განმარტებით, კამპანიის მიზანი ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. „არა ძალადობას“, „ხარაგაული გმობს ძალადობას“ - ასეთი სახის მიმართვები იყო აქციაზე თვალსაჩინოების მიზნით გაკეთებულ პოსტერებზე. აღნიშნულ კამპანიასთან დაკავშირებით დამსწრე პირებმა საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს და პლაკატზე „ქალები, რომლებმაც შეცვალეს...“ იმ ქალბატონების სახელები და გვარები დაწერეს, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა სფეროს განვითარების პროცესებში.

თამარ მაღრაძე

საკრებულოს თანამდებობის პირთა ჩამონათვალს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ემატება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების განხორციელება იგეგმება. კანონპროექტი გულისხმობს 32-ე და 38-ე მუხლების ცვლილებას, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა ჩამონათვალს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ემატება. ასევე იმ ფრაქციას, რომლის წევრთა რაოდენობა ცხრა ან მეტია, უფლებამოსილია ჰყავდეს მეორე მოადგილე.

განმარტებითი ბარათის მიხედვით, „კანონპროექტის მიღების მიზეზი ისაა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის საქმიანობა ნაკლებად ეფექტურია და უპრიანი იქნება მისი მმართველობის სისტემის უფრო დეტალიზება და ფუნქციების ეფექტიანი გადანაწილება ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებს შორის, რათა მოხდეს ფრაქციის შიდა ორგანიზაციული საკითხების უკეთ ორგანიზება და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებების სრულად განხორციელება. ფრაქციის თავმჯდომარის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას შეადგენს მოსახლეობასთან შეხვედრა, მათი პრობლემების ადგილზე გაცნობა, სხვადასხვა პოლიტიკურ ან არაპოლიტიკურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, რაც ხშირ შემთხვევაში, საჭიროებს მივლინებას ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულში. აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებობს ფრაქციის საქმიანობის შეფერხების ობიექტური რისკი, ვინაიდან ფრაქციის თავმჯდომარე არის ფრაქციის საქმიანობის ერთპიროვნული წარმმართველი.“

აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცებას საქართველოს პარლამენტი წლის ბოლომდე გეგმავს.

ხარაგაულის კინოთეატრში ინტელექტუალური კონკურსი რა? სად? როდის? გაიმართა

20 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კინოთეატრში მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით ინტელექტუალური კონკურსი რა? სად? როდის? გაიმართა. შეჯიბრი სამ გუნდს შორის მიმდინარეობდა და თითოეულმა მათგანმა თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე გამოამჟღავნეს და ერთმანეთს ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს. საბოლოოდ, გამარჯვება გივი კურტანიძის ექვსეულმა მოიპოვა.

მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ და დავით ჩადუნელმა გუნდები სპეციალური სიგელებით დააჯილდოეს და გამარჯვებულ ექვსეულს სიმბოლური საჩუქარი გადასცეს.

„მხიარული სტარტები“ ორგანიზაციებს შორის ჩატარდა

21 დეკემბერს ხარაგაულის „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ დარბაზში ჩატარდა „მხიარული სტარტები“ ორგანიზაციებს შორის. პროექტი მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით მოეწყო.

ამჯერად მხიარულ შეჯიბრებაში მერიისა და ტურიზმის ცენტრის გუნდები მონაწილეობდნენ, რომელიც გენდერულად იყო დაბალანსებული და მასში 5 გოგო და 5 ბიჭი თამაშობდა.

შეჯიბრის მონაწილეებს სხვადასხვა სირთულის გადალახვამ მოუწიათ. საბოლოოდ, „მხიარული სტარტები“ გამგეობისა და ტურიზმის ცენტრის გუნდებს შორის თანაბარი ანგარიშით 54:54 დასრულდა.

შეჯიბრში მონაწილე გუნდებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12